1920 UPRISING IN SHIDA KARTLI IN HISTORY TEXTBOOKS
1920 წლის აჯანყება შიდა ქართლში ისტორიის სახელმძღვანელოებში

TAMAR ORJONIKIDZE
PhD student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Social and Political Sciences
Institute of Political Sciences, Ilia State University, Researcher
3/5 Kakutsa Cholokashvili Avenue, Tbilisi 0162, Georgia
tamar.orjonikidze@tsu.ge
+995 598 150002
https://orcid.org/0000-0001-7867-912X

Abstract

The article discusses Uprisings in 1918-1920 in Georgia in the territory of "South Ossetia" in the school textbooks of Georgian and world history. The work is based on the content analysis of school history textbooks published after the restoration of independence of Georgia. Attention is focused on the volume of material and presented documents. The main facts about what the authors of the textbooks pay special attention when discussing the mentioned issue are highlighted. Among them are the causes of the uprisings, their nature, the role of Soviet Russia in these processes and its real intentions, as well as the retaliatory actions of the authorities of the Democratic Republic of Georgia.

School textbooks play an important role in countering falsified versions of history. In this case, it is about the falsification spread by the Russian government and the separatist regime of Tskhinvali, with which they are trying to justify the occupation of the historical territory of Georgia.

Keywords: History textbooks; "South Ossetia"; Uprising in Shida Kartli; Russian propaganda; Georgia.

თამარ ორჯონიკიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დოქტორანტი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი
ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5 თბილისი 0162, საქართველო
tamar.orjonikidze@tsu.ge
+995 598 150002
https://orcid.org/0000-0001-7867-912X

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში მოცემული 1918-1920 წლებში საქართველოში, კერძოდ კი, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე მომხდარი აჯანყებები. ნაშრომი ეყრდნობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ გამოცემული სასკოლო ისტორიის სახელმძღვანელოების შინაარსობრივ ანალიზს. ყურადღება გამახვილებულია მასალის მოცულობასა და წარმოდგენილ დოკუმენტებზე. გამოყოფილია ის ძირითადი ფაქტები, რასაც სახელმძღვანელოთა ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ აღნიშნული საკითხის განხილვისას. მათ შორის აჯანყებების მიზეზები, ხასიათი, ამ პროცესებში საბჭოთა

რუსეთის როლი და მისი რეალური ზრახვები, აგრეთვე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების საპასუხო ქმედებები.

სასკოლო სახელმძღვანელოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ისტორიის ფალსიფიცირებული ვერსიების დაძლევის საქმეში. ამ შემთხვევაში კი საქმე ეხება რუსეთის ხელისუფლებისა და ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმის მიერ გავრცელებულ ფალსიფიკაციას, რომლითაც ცდილობენ საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ოკუპაციის გამართლებას.

საკვანძო სიტყვები: ისტორიის სახელმძღვანელოები; „სამხრეთ ოსეთი“; აჯანყება შიდა ქართლში; რუსული პროპაგანდა; საქართველო.

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის ფედერაცია სხვადასხვა ფორმით პრეტენზიას აცხადებს ყოფილ „მოკავშირე რესპუბლიკებზე“ გავლენის შენარჩუნებაზე და რიგ შემთხვევაში ცდილობს, მათი ტერიტორიის ნაწილის მითვისებასაც. რუსეთი თავისი იმპერიული პოლიტიკის დასასაბუთებლად მუდმივად მიმართავს ისტორიის ფალსიფიცირებას, რაც ათწლეულებია მიმდინარეობს. საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში ინტენსიურად მიმდინარეობს ცხინვალის რეგიონის ისტორიის ფალსიფიცირება. 2019 წლის 9 ივლისს კი პუტინის გამოსვლაში „შეჯამებულია“ ამ გაყალბების არსი: ამ დღეს გავრცელდა რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის ვიდეომიმართვა, სადაც მან საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ისტორიის „საკუთარი ვერსია“ წამოაყენა. მისი მტკიცებით, „ოსეთი (მისი ჩრდილოეთი და სამხრეთ ნაწილები) 1774 წელს შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. 1810 წელს აფხაზეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო (სამთავრო) ისე შეუერთდა იმპერიას. მოგვიანებით კი ოსეთის სამხრეთ ნაწილი ტფილისის გუბერნიაში შევიდა, არავითარი საქართველო არ არსებობდა“. პუტინის თანახმად, „გერმანული ჯარების დახმარებით საქართველომ 1918 წელს მოახდინა აფხაზეთის ოკუპაცია. ოკუპანტები ძალიან სასტიკად იქცეოდნენ. უფრო სასტიკად იქცეოდნენ ქართული საოკუპაციო ჯარები ოსეთში 1919-1920 წლებში. არსობრივად, ეს ზუსტად ისაა, რასაც დღეს გენოციდი ეწოდება“[1].

აღსანიშნავია ასევე, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ რუსეთთან „შეერთების“ საკითხი. აღნიშნული განსაკუთრებით გააქტიურდა 2022 წელს, როდესაც თვითგამოცხადებულმა პრეზიდენტმა ბიბილოვმა რეფერენდუმი ჩანიშნა აღნიშნული საკითხის შესახებ ამავე წლის 17 ივლისს. თუმცა რეფერენდუმი არ ჩატარებულა. კრემლმა თავი შეიკავა გეოპოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით - 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, რამაც საერთაშორისო საზოგადოების მკვეთრად ნეგატიური პოზიცია გამოიწვია და „დამატებითი პრობლემები“ საქართველოსთან არ სჭირდებოდა.

რუსული ისტორიული პროპაგანდის საწინააღმდეგოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ნამდვილი ისტორიის წარმოჩენას და სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოები.

[1] https://fb.watch/g9vW39EhcV/

კვლევის მეთოდები

ნაშრომი ეყრდნობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ გამოცემული სასკოლო ისტორიის სახელმძღვანელოების შინაარსობრივ ანალიზს. ყურადღება გამახვილებულია მასალის მოცულობასა და წარმოდგენილ დოკუმენტებზე.

შედეგები

სახელმძღვანელოთა შესწავლისას გამოიკვეთა რამდენიმე ფაქტორი, რასაც ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ. მათ შორის:

1. საბჭოთა რუსეთის და „ადგილობრივი“ ბოლშევიკების ჩართულობა საქართველოში არეულობის მოსაწყობად;
2. ბოლშევიკურ პროაგანდას აყოლილი შიდა ქართლის ოსური მოსახლეობის ნაწილის ზრახვები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ;
3. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობის და შეიარაღებული ძალების ძალისხმევა, აღეკვეთათ საბჭოთა რუსეთის მიერ წახალისებული სეპარატისტების ქმედებები და დაეცვათ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა.

მსჯელობა

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში არაფერია ნათქვამი ცხინვალის რეგიონში მომხდარ აჯანყებაზე (მესხია, 1968).

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გამოვიდა სახელმძღვანელოთა რამდენიმე თაობა, სადაც საუბარია შიდა ქართლში მომხდარ აჯანყებებზე.

ფარნაოზ ლომაშვილის ავტორობით 2002 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში (ლომაშვილი, 2002) მეცხრე თავი ეთმობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. სხვა საკითხებთან ერთად განხილულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული პოლიტიკა. სახელმძღვანელოს ავტორი სწორედ ამ ქვეთავში გვთავაზობს იმდროინდელ საქართველოში მიმდინარე აჯანყებებს. ლომაშვილი ყურადღებას ამახვილებს აჯანყებულთა მიზნებზე, საბჭოთა რუსეთის ქმედებებსა და მათ ზრახვებზე, ასევე დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების პოზიციაზე. სახელმძღვანელოში ნათლადაა მოცემული სეპარატისტთა მოქმედების შედეგები. ასევე აღსანიშნავია, რომ საბჭოთა რუსეთი ე.წ. „სამხრეთ ოსეთისაგან“ სხვადასხვა ხასიათის სარგებელს ელოდა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, საქართველოსთვის შიდა პრობლემების შექმნა, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ საბჭოთა რუსეთთან მიერთება და რეგიონის გამოყენება მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში. ქვეთავის დასაწყისში აღნიშნულია, მეფის რუსეთის ქმედებები, მათი ხასიათი და შედეგები საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შეცვლის თვალსაზრისით; მოცემულია პროცენტული შემადგენლობა - ქართველთა კლება და სხვა ეროვნების ხალხთა პროცენტული რაოდენობის მატება. კერძოდ, ლომაშვილი წერს, რომ „ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის წყალობით საქართველო მრავალეროვან ქვეყნად იქცა. მარტო 1801-1897 წლებში ქართველთა ხვედრითი წილი საქართველოს მოსახლეობაში 79,4-დან 69,4 პროცენტამდე შემცირდა. ამავე პერიოდში რუსების ხვედრითი წილი 0-დან 5,3 პროცენტამდე, სომხებისა 6-დან 10,3-მდე, ოსებისა 3,7-დან 4,2-მდე, ხოლო აზერბაიჯანელებისა 3,8-დან 4,2 პროცენტამდე გაიზარდა“ (ლომაშვილი, 2002, გვ. 45). აქვე კიდევ ერთი პროცენტული მაჩვენებელია მოცემული სახელმძღვანელოში. კერძოდ ის, რომ „ეს

პროცესი მთელს ამიერკავკასიაში ქართელთა ხვედრითი წილის შემცირების ფონზე მიმდინარეობდა. იმავე 1801-1897 წლებში იგი 43-დან 28 პროცენტამდე დაეცა“ (ლომაშვილი, 2002, გვ. 45). სახელმძღვანელოს ავტორი ყურადღებას ამახვილებს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების დამოკიდებულებაზე საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების მიმართ და მას „ტოლერანტულსა“ და „შემწყნარებლურს“ უწოდებს.

მას შემდეგ, რაც მიმოიხილავს მდგომარეობას აფხაზეთში და ხელისუფლების წარმატებულ ქმედებებს ამ რეგიონში, ლომაშვილი მოსწავლეებს ინფორმაციას უკვე ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ პრობლემის შესახებ აწვდის, რომელსაც „უფრო რთულად“ თვლის. სახელმძღვანელოს ავტორი მიიჩნევს, რომ შიდა ქართლის ტერიტორიაზე ჩამოსახლებულ ოსებს კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის უფლება ჰქონდათ, რასაც საქართველოს ხელისუფლებაც აღიარებდა, თუმცა აქვე საბჭოთა რუსეთის პოზიციას და ქმედებებს გვაცნობს, რომელიც „ოსებს პოლიტიკურ-ტერიტორიულ ავტონომიას ჰპირდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელნი საქართველოს აუჯანყდებოდნენ“ (ლომაშვილი, 2002, გვ. 46). ამ მიზნის მისაღწევად კი როგორც სახელმძღვანელოში ვკითხულობთ, საბჭოთა რუსეთი „უხვად ამარაგებდა ოს სეპარატისტებს იარაღითა და საბრძოლო მასალებით. სამაჩაბლოს ტერიტორიაზე რუსეთიდან ხშირად „მუშათა რაზმების“ ნიღბით წითელი არმიის ნაწილებიც იგზავნებოდა“ (ლომაშვილი, 2002, გვ. 46). ამ ყველაფერმა კი გამოიწვია ის, რომ თუ ოსები მანამდე „საერობო ადმინისტრაციული ერთეულის შექმნას მოითხოვდნენ, დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, მათ საქართველოდან გამოყოფა და საბჭოთა რუსეთთან შეერთება მოიწადინეს“ (ლომაშვილი, 2002, გვ. 46).

აღსანიშნავია, რომ ავტორი ყურადღებას ასევე ამახვილებს საბჭოთა რუსეთს შიგნით მიმდინარე პროცესებზე - სამოქალაქო ომისას ბოლშევიკთა მიერ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ მნიშვნელობაზე დენიკინის არმიებისათვის ზურგიდან საფრთხის შესაქმნელად. ამისათვის იყო საჭირო „საყოველთაო აჯანყების“ მოწყობა (მათ შორის „სამხრეთ ოსეთშიც“), რომელიც წარუმატებელი გამოდგა და ადვილად ჩაახშეს. საბჭოთა რუსეთი ამის შემდეგაც აგრძელებდა ოსთა გამოყენებას საქართველოს წინააღმდეგ და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მათივე ბრძანებით 1920 წლის მარტში შექმნილი „სამხრეთ ოსეთის“ რევოლუციური კომიტეტი აცხადებდა, რომ „სამხრეთ ოსეთი საქართველოს ნაწილი არც ყოფილა და არც იქნებაო“. ამას კი საბჭოთა რუსეთის მთავრობის ნოტა მოჰყვა, რომელიც შიდა ქართლიდან საქართველოს ჯარების „დაუყოვნებლივ გაყვანას“ მოითხოვდა.

სახელმძღვანელოში ხაზგასმულია ასევე დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოქმედება რუსეთისა და აჯანყებულების საერთო ძალისხმევის წინააღმდეგ. ლომაშვილი სრულად გამართლებულად მიიჩნევს ქვეყნის ხელმძღვანელობის ქმედებას - დაუყოვნებლივ ჩაეხშო აჯანყება, რასაც ლენინის მთავრობის უკანდახევა მოჰყვა. სამაჩაბლოს ოსური მოსახლეობის ნაწილი ჩრდილოეთ ოსეთში გაიხიზნა, „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიის საკითხი კი დღის წესრიგიდან მოიხსნა (ლომაშვილი, 2002, გვ. 46).

კიდევ ერთი სახელმძღვანელო, რომელიც მიმოიხილავს შიდა ქართლის ტერიტორიაზე დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში მოწყობილ ამბოხებებს, 2012 წელს ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემული მეცხრე კლასისათვის განკუთვნილი „საქართველოს ისტორიაა“ (ჯანელიძე, 2012). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ საუბრისას, ერთი ქვეთავი დათმობილია ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაზე, სადაც ავტორები მოსწავლეებს სხვა რეგიონებთან ერთად შიდა ქართლში მოწყობილი აჯანყებების შესახებ მოუთხრობენ. პირველ რიგში ყურადღება იმაზეა გამახვილებული, რომ ოსთა გარკვეული ნაწილი უკმაყოფილო იყო ქართული სახელმწიფოს შექმნით და ისინი

თავდაპირველად მოითხოვდნენ ცალკე საერობო ერთეულად გამოყოფას, ცოტა ხანში პოზიცია შეცვალეს და უკვე „სამხრეთ ოსეთის“ პოლიტიკური ავტონომია მოითხოვეს. სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა მათ ეროვნულ-კულტურულ ავტონომიას სთავაზობდა, სეპარატისტულად განწყობილი ოსები კი ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ რუსეთთან შეერთებას მოითხოვდნენ და „საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ძირს უთხრიდნენ“ (ჯანელიძე, 2012, გვ. 323).

უშუალოდ აჯანყებებს რაც შეეხება, სახელმძღვანელოს ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ ამბოხებები შიდა ქართლის ტერიტორიაზე სწორედ ბოლშევიკური რუსეთის ინიციატივითა და ხელშეწყობით ხდებოდა; ხაზია გასმული ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ქართველი ბოლშევიკების აქტიურობაზეც ამ მიმართულებით. მნიშვნელოვანია, რომ ავტორები აჯანყებულთა კონკრეტულ ქმედებებზე აწვდიან მოსწავლეებს ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც სეპარატისტი ოსები ქართულ სოფლებს არბევდნენ და ძარცვავდნენ. მათ დასახმარებლად კი როკის უღელტეხილი გადმოლახეს ოსთა პარტიზანულმა რაზმებმა და ცხინვალი დაიკავეს. ამან ხელი შეუწყო „სამხრეთ ოსეთის“ რევკომს, რათა მიემართა საბჭოთა რუსეთისათვის „სამხრეთ ოსეთის“ მიერთების თაობაზე. აჯანყების ჩახშობასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ საქართველოს ხელისუფლება აჯანყებულებს მკაცრად გაუსწორდა; ამბოხებაში მონაწილე ოსი მოსახლეობის ნაწილმა და საქართველო დატოვა და ჩრდილოეთით გადავიდა, თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ სახელმწიფოსადმი ლოიალურად განწყობილი ოსები მთავრობას არაფრით შეუზღუდავს და ისინი კვლავ რჩებოდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრულუფლებიან მოქალაქეებად.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოცემულ სახელმძღვანელოში მოტანილია ამონარიდი საქართველოში მცხოვრები ოსი მოსახლეობის განცხადებიდან (1920 წლის ივლისი), რომელიც ემიჯნება „მთის ოსების“ აჯანყებას, „პირიქით, გადაჭრით ვკიცხავდით მათ და ამ აჯანყებას დამღუპველად ვთვლიდით ოსი ხალხისათვის“ (ჯანელიძე, 2012, გვ. 324).

კიდევ ერთი სახელმძღვანელო, რომელიც ჩვენთვის საინტერესო საკითხზე წერს, 2005 წელს ვაჩნაძისა და გურულის ავტორობით გამოცემული საქართველოს ისტორიაა მეთერთმეტე კლასელებისათვის (ვაჩნაძე, 2005). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ბრძოლა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ერთ-ერთ თავშია მოცემული. 1920 წელს შიდა ქართლში განვითარებული მოვლენებიც სწორედ ამ საკითხის ნაწილია. სახელმძღვანელოში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ოსი სეპარატისტების მცდელობა იყო საქართველოსაგან ჩამოეცილებინათ ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ და ის საბჭოთა რუსეთისთვის შეერთებინათ, ამის განხორციელებაში კი მათ რუსეთი იარაღით და სამხედრო სპეციალისტებით ეხმარებოდა. აქვე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობის, კერძოდ კი სახალხო გვარდიის მეთაურის ვალიკო ჯუღელის ქმედებაა გამოკვეთილი, როდესაც მან შეძლო სეპარატისტების აჯანყების ჩახშობა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება (ვაჩნაძე, 2005, გვ. 94).

კვლევისათვის საინტერესო მოვლენებს მიმოიხილავს რამდენიმე ავტორის მიერ 2008 წელს გამოცემული საქართველოს ისტორია (მალაზონია, 2008). რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომის განხილვაზე საუბრისას, ავტორები ყურადღებას ამახვილებენ დაპირისპირებული მხარეების საერთო სურვილზე, არ დაეშვათ საქართველოს დამოუკიდებლობა, ამისათვის კი განიხილებოდა აფხაზეთის, ოსეთისა და აჭარის გამოყენება. აქვე მოტანილია დ. ჭუმბურიძის სიტყვები - „ერთმანეთში მებრძოლი ბოლშევიკური და დენიკინური რუსეთი, ორივე ჩაეჭიდა აფხაზეთის, ოსეთისა და აჭარის თემას და საქართველოს დაჩოქება მოინდომა ამ

ტერიტორიების წართმევით“ (მალაზონია, 2008, გვ. 293). სახელმძღვანელოში მოცემულია ინფორმაცია ასევე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საპასუხო ღონისძიებების შესახებ, რომლითაც მათ მოახერხეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, კერძოდ, ხაზგასმულია ვალიკო ჯუღელისა და გიორგი მაზნიაშვილის დამსახურება შიდა ქართლში მიმდინარე აჯანყებების ჩახშობისას. მნიშნელოვანია, რომ წიგნი საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების განწყობაზეც გვაწვდის ინფორმაციას. კერძოდ, ავტორები მიუთითებენ რომ რუსეთი ვერ ეგუებოდა აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“ მარცხს და საქართველოს მთავრობას მოუწოდებდა, თავი შეეკავებინა ამბოხებულთა მიმართ სადამსჯელო ოპერაციების განხორციელებისაგან. აქვე მოტანილია საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის, ჩიჩერინის მოწოდება საქართველოს ხელისუფლებისადმი, არ ჩარეულიყო ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ საბჭოთა რესპუბლიკის შიდა საქმეებში და დაუყოვნებლივ გაიყვანა ჯარი აღნიშნული ტერიტორიიდან, ვინაიდან „ოსეთში უნდა იყოს ის ხელისუფლება, რომელიც მას სურს. საქართველოს ჩარევა ოსეთის საქმეებში აღიქმება, როგორც უცხოეთს ჩრევა ოსეთის შინაგან საქმეებში“ (მალაზონია, 2008, გვ. 294). ჩიჩერინის მოცემული მოწოდება ნათლად აჩვენებს, რა მხარდაჭერას იღებდნენ ამბოხებულები საბჭოთა რუსეთისა და მისი ხელისუფლებისაგან.

მორიგი სახელმძღვანელო, რომელიც მოგვითხრობს შიდა ქართლის ტერიტორიაზე მოწყობილი ამბოხებების შესახებ 2012 წელს გამოცემული „ისტორიაა“ (აბდალაძე, 2012). ავტორები შიდა ქართლის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენებს განიხილავენ ოსი სეპარატისტების მცდელობად, რუსეთის დახმარებით მოეხერხებინათ შიდა ქართლის შეერთება ჩრდილოეთ ოსეთთან (რუსეთთან). აქვე აღნიშნულია, მათი განსაკუთრებული აქტიურობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ და ხაზგასმულია, რომ ისინი არამხოლოდ ბოლშევიკებს უკავშირდებოდნენ დახმარების მისაღებად, არამედ მათ მოწინააღმდეგე ძალებსაც, მათ შორის დენიკინსა და ბრიტანული ჯარების სარდლობას. სახელმძღვანელოში ხაზგასმულია 1920 წელს საბჭოთა რუსეთის განსაკუთრებული როლი ამბოხებულთა დასახმარების საქმეში, მოცემულია ინფორმაცია, რომ მათ შეაიარაღეს და წააქეზეს ბოლშევიკური აჯანყებისკენ ოსი სეპარატისტები, რომელთაც დახოცეს შიდა ქართლის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და სახალხო გვარდიის მებრძოლები. აქვე ნახსენებია ჩიჩერინის ნოტა საქართველოს ხელისუფლებისადმი, რომელშიც ის შეშფოთებას გამოთქვამდა საქართველოს შეიარაღებული ძალების ყოფნასთან დაკავშირებით შიდა ქართლის ტერიტორიაზე (აბდალაძე, 2012).

აღსანიშნავია, რომ 1920 წელს შიდა ქართლში მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაცია ყველა სახელმძღვანელოში მოცემული არაა. მათ შორისაა 2012 წელს გამოცემული, მე-12 კლასისათვის განკუთვნილი „ისტორია“ (კიღურაძე, 2012). თუმცა ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ სახელმძღვანელოში მოცემულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის კონკრეტული მუხლები, რომლითაც საქართველოში გარანტირებული იყო ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა (მუხლი 129; 130; 131; 132; 134; 136) (კიღურაძე, 2012, გვ. 118). მოცემული მუხლების გათვალისწინებით, შიდა ქართლში მცხოვრები ოსური მოსახლეობა საქართველოს სრულუფლებოვან მოქალაქეებად მიიჩნეოდა და მათი უფლებები კონსტიტუციით იყო დაცული.

დასკვნა

საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის განხილულ სახელმძღვანელოებში ავტორები ცდილობენ სრული სურათი დაანახონ მკითხველს. კერძოდ, საბჭოთა რუსეთის ჩართულობა და მისი მიზანმიმართული ქმედებები ცხინვალის რეგიონში არეულობის მოსაწყობად,

ბოლშევიკების მიერ ოსი სეპარატისტების იარაღითა თუ შესაბამისი აღჭურვილობით მომარაგება, მათი მოთხოვნები თუ ქმედებები; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საპასუხო ნაბიჯები. აღსანიშნავია, რომ ყველა სახელმძღვანელოში არაა მოცემული ინფორმაცია ჩვენი საკვლევი საკითხის შესახებ, თუმცა ეს გასაგებია მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოების სპეციფიკიდან გამომდინარე-შეუძლებელია ერთ წიგნში იყოს სრულად გადმოცემული მსოფლიოსა და საქართველოს ერთი საუკუნის ისტორია. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ იმ ისტორიული დეზინფორმაციის გასაქარწყლებლად, რომელსაც თანამედროვე რუსული სახელმწიფო იყენებს მეზობელი ქვეყნების ტერიტორიების მისატაცებლად, ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი უნდა აღმოჩნდეს მომავალი თაობისათვის რეალური ისტორიის გაცნობა - მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ სეპარატიზმის გაღვივება და მისი გამოყენებით დამოუკიდებელი სახელმწიფოების, მათ შორის საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ ბრძოლა რუსეთის მიერ კარგად გამოცდილი მეთოდია, რომელსაც ის იყენებდა ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში.

გამოყენებული ლიტერატურა

აბდალაძე, გ. კუპატაძე, ბ. ახმეტელი, ნ. მურღულია, ნ. (2012). *ისტორია.* თბილისი. გამომცემლობა "დიოგენე".

ახმეტელი, ნ. ლორთქიფანიძე, ბ. ფირცხალავა, ნ. (2020). *ისტორია.* თბილისი. გამომცემლობა „დიოგენე".

ბოლოთაშვილი, გ. კიღურაძე, ნ. მეძმარიაშვილი, ე. (2004). *უახლესი ისტორია 1918-1991.* თბილისი. გამომცემლობა „კონა".

ვაჩნაძე, მ. და გურული, ვ. (2005 წ.) *საქართველოს ისტორია IX.* თბილისი. გამომცემლობა „არტანუჯი".

კიღურაძე, ნ. გაჩეჩილაძე, რ. სანიკიძე, გ. (2012). *ისტორია.* თბილისი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

ლომაშვილი, ფ. (2002). *საქართველოს ისტორია 1801-2001.* თბილისი. ივერია. გამომცემლობა"ცისარტყელა".

მალაზონია, დ. კვიტაიშვილი, ნ. მალაზონია, თ. (2008). *საქართველოს ისტორია.* „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი".

მესხია, ს. გუჩუა, ვ. (1968). *საქართველოს ისტორია: VII-X კლასების სახელმძღვანელო.* თბილისი. „განათლება".

პუტინის ისტორია - დიდი ტყუილი. გამოქვეყნების თარიღი 9 ივლისი, 2020 წ. https://fb.watch/g9vW39EhcV/

სურგულაძე, მ. კეკელია, ვ. ლაბაძე, რ. მურუსიძე, შ. და ქურთუბაძე, მ. (2021). *საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია.* თბილისი. ლოგოს პრესი

ჯანელიძე, ო. თაბუაშვილი, ა. თავაძე, ლ. ირემაშვილი, ნ. (2012). *საქართველოს ისტორია.* თბილისი. გამომცემლობა „კლიო".

References

abdaladze, g. k'up'at'adze, b. akhmet'eli, n. murghulia, n. (2012). *ist'oria[History].* Tbilisi: Publishing House"Diogene".

akhmet'eli, n. lortkipanidze, b. pirtskhalava, n. (2020). *ist'oria.[History].* Tbilisi: Publishing House“Diogene”.

bolotashvili, g. k'ighuradze, n. medzmariashvili, e. (2004). *uakhlesi ist'oria 1918-1991. [Recent history 1918-1991].* Tbilisi: Publishing House „k'ona“.

vachnadze, m. da guruli, v. (2005 ts'.) *sakartvelos ist'oria IX[History of Georgia IX].*Tbilisi: Publishing House „Artanuji“.

k'ighuradze, n. gachechiladze, r. sanik'idze, g. (2012). *ist'oria[History].*Tbilisi: Publishing House “Bakur Sulakauris Gamomtsemloba”.

lomashvili, p. (2002). *sakartvelos ist'oria 1801-2001[History of Georgia 1801-2001].*Tbilisi: Publishing House“Tsisartkela“.

malazonia, d. k'vit'aishvili, n. malazonia, t. (2008). *sakartvelos ist'oria. [History of Georgia]* „kartuli biograpiuli tsent'ri“.

meskhia, s. guchua, v. (1968). sakartvelos ist'oria: VII-X k'lasebis sakhelmdzghvanelo. *[History of Georgia VII-X]* tbilisi. „ganatleba“

p'ut'inis ist'oria - didi t'quili [History of Putin - big lie]. gamokvveqnebis tarighi 9 ivlisi, 2020 ts'. https://fb.watch/g9vW39EhcV/

surguladze, m. k'ek'elia, v. labadze, r. murusidze, sh. da kurtubadze, m. (2021). *sakartvelosa da msoplios ist'oria[History of Georgia and the World].*Tbilisi: Publishing House “Logos Presi”.

janelidze, o. tabuashvili, a. tavadze, l. iremashvili, n. (2012). *sakartvelos ist'oria[History of Georgia].* Tbilisi: Publishing House „Klio“.